

საჩივრის ფორმა

ზოგადი მითითებები

ვის შეუძლია საჩივრის წარდგენა?

1. თქვენ, ან თქვენი სახელით მოქმედ პირს ან მხარეს შეუძლია წარუდგინოს საჩივარი ევროპული სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს, ფრონტექსს, თუ თვლით, რომ თქვენზე პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ფრონტექსის საქმიანობაში¹ ჩართული თანამშრომლის ქმედებამ ან უმოქმედობამ, და ასევე თვლით, რომ დაირღვა თქვენი ერთი ან მეტი ძირითადი უფლება ამ ქმედებების ან ქმედების შეუსრულებლობის გამო. *ოპერაციების დროს ძირითადი უფლებების შესაძლო პოტენციური დარღვევების* ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ სააგენტოს ვებსაიტზე, საჩივრის წარდგენის მექანიზმის სექციაში *დამატებითი ინფორმაცია*.
2. თქვენი წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ მხარეს (მაგ. სხვა პირს, იურისტს, ორგანიზაციას, ოჯახის წევრს, კანონიერ მემკვიდრეს და ა. შ.). მათგან ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეიტანოს საჩივარი თქვენი სახელით.
3. ფრონტექსის თანამშრომლების როგორც გუნდის წევრების მიერ ძალის² გამოყენების წესების სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს შეუძლია განაცხადოს ასეთი სავარაუდო დარღვევების შესახებ.
4. ასევე შესაძლებელია რამდენიმე მომჩივანის შემცველი საქმის წარდგენაც.

როგორ შევიტანოთ საჩივარი?

5. თქვენი საჩივარი უნდა წარადგინოთ **წერილობითი ფორმით**. თქვენს საჩივარს განიხილავს ფრონტექსის ძირითადი უფლებების ოფიცერი (FRO), დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც აკონტროლებს და წინ სწევს ძირითად უფლებებს ფრონტექსის ფარგლებში. საჩივრის ამ ფორმის გამოყენებით ოფიცერი (FRO) უფრო ეფექტურად დაამუშავებს თქვენს საჩივარს, თუმცა თქვენ შეგიძლიათ თქვენთვის სასურველი სხვა ნებისმიერი წერილობითი საშუალებით შეიტანოთ ის. პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე ოფიცერს (FRO) შეუძლია მოგთხოვოთ დამატებითი ინფორმაციის, დოკუმენტაციისა თუ თქვენს საჩივარზე განმარტების წარდგენა. ამ მიზეზით, მნიშვნელოვანია, დაამატოთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია.
6. საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერ ენაზე. საჩივრის ფორმები ხელმისაწვდომია რამდენიმე ენაზე.
7. თქვენი საჩივრის მაქსიმალური მოცულობა დადგენილი არ არის, თუმცა სასურველია მთელი ინფორმაციის გათვალისწინებით ის **არ აღემატებოდეს 15 გვერდს**.
8. საჩივარი უნდა წარადგინოთ ერთი წლის განმავლობაში თქვენი ძირითადი უფლებების სავარაუდო დარღვევის დღიდან ან დღიდან როცა შეგატყობინეს ან გაიგეთ ამის შესახებ ან საჩივარი სხვაგვარად შეიტანეთ.

¹ ფრონტექსის საქმიანობა გულისხმობს: ერთობლივ ოპერაციას, საპილოტე პროექტს, სწრაფ ჩარევას საზღვარზე, მიგრაციის მენეჯმენტის დამხმარე გუნდის განთავსებას, დასაბრუნებელ ოპერაციას, საპასუხო ჩარევასა და სააგენტოს მოქმედებას შესაძლო ქვეყანაში. ამ ქმედებების განმარტებისათვის, გთხოვთ, გაეცნოთ 2019 წლის 13 ნოემბრის რეგულაციის (ევროკავშირი) 2019/1896, ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის შესახებ. (ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალის კანონმდებლობა (OJ L 295, 14.11.2019, გვ. 1).

² გთხოვთ, იხილოთ დებულება 2019/1896 დანართი V ძალის გამოყენების წესების შესახებ, რომელიც მოიცავს ტრენინგსა და სამსახურეობრივი იარაღისა და არალეტალური აღჭირვილობის მომარაგებას, კონტროლსა და გამოყენებას, რომელიც მიემართება ფრონტექსის პერსონალს განლაგებულს გუნდების წევრებად

- 9. თქვენი საჩივარი უნდა ეხებოდეს ფაქტებს, რომლებიც მოხდა ან რომელთა მოქმედება გაგრძელდა 2016³ წლის 6 ოქტომბრის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი საჩივარი არ განიხილება.
- 10. საჩივრის შეტანამდე თქვენ არ გაქვთ საჭიროება გაიაროთ ეროვნული პროცედურები.
- 11. თუ თქვენ შეიტანთ საჩივარს ფრონტექსში, ეს არ შეგიძლით ხელს ასევე წარადგინოთ საჩივარი სხვაგან, მაგალითად ეროვნულ ან ევრობის სასამართლოებში.
- 12. უნდა განმარტოთ თქვენი საჩივრის **დეტალური ფაქტები** და რამდენადაც შეძლებთ, **განსაზღვროთ, თუ რა გავლენა მოახდინა** ამ ქმედებებმა ან უმოქმედობამ თქვენს ძირითად უფლებებზე.
- 13. საჩივრის შეტანა **უფასოა**.

რა ხდება საჩივრის შეტანის შემდეგ?

- 14. ფრონტექსი და ფრონტექსის ძირითადი უფლებების ოფიცერი (FRO) განიხილავენ თითოეულ საჩივარს როგორც **კონფიდენციალურს**, მანამ სანამ თქვენ ნათლად არ გამოთქვამთ უარს კონფიდენციალურობაზე თქვენს საჩივარში ან სხვა ნებისმიერი წერილობითი ფორმით.
- 15. თუ თქვენი საჩივარი ეხება ფრონტექსის საქმიანობაში მონაწილე წევრ სახელმწიფოთა გუნდის წევრის ქმედებებს ან უმოქმედობას, მაშინ თქვენი საჩივარი ოფიცერის (FRO) მიერ გადაეცემა ეროვნულ ორგანოებს, რომლებიც განიხილავენ ინდივიდუალურ საჩივრებს და ფუნდამენტური უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებს. ოფიცერი (FRO) გაცნობებთ, თუ რომელმა ორგანოებმა მიიღეს თქვენი საჩივარი. თქვენ გჭირდებათ სპეციალური თანხმობა იმისთვის, რომ ოფიცერმა გადაუგზავნოს თქვენი პერსონალური მონაცემები შესაბამის ორგანოებს (იხილეთ სექცია 5 საჩივრის ფორმაში).
- 16. თუკი თქვენი საჩივარი აღმოჩნდა მიუღებელი, ოფიცერი წერილობითი ფორმით გაცნობებთ მიუღებლობის მიზეზების შესახებ და, თუ ეს შესაძლებელია, მოგაწვდით შემდეგ ვარიანტებს თქვენი პრობლემის გადასაჭრელად.
- 17. ნებისმიერი საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, იქნება ეს მისამართი, ელ.ფოსტა თუ სხვა საკონტაქტო ინფორმაცია, მომჩივანმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ფრონტექსის უფლებების დამცველ ოფიცერს (FRO).

ფრონტექსის საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ სააგენტოს ვებგვერდს: www.frontex.europa.eu/complaints

1. ინფორმაცია მომჩივან(ებ)ის შესახებ

თქვენ შეგაქვთ საჩივარი როგორც:

(გთხოვთ აირჩიოთ შესაბამისად)

უშუალოდ დაზარალებული პირ(ებ)ი

დაზარალებული პირ(ებ)ის წარმომადგენელი მხარე

ნებისმიერი პირი (პირები), რომლებიც ეჭვობენ ძალის გამოყენების შესახებ წესების დარღვევას გუნდების წევრებად განლაგებული ფრონტექსის თანამშრომლების მიერ.

გთხოვთ, წარმოადგინოთ მოსარჩილის ან მისი წარმომადგენლის მინიმუმ ერთი საკონტაქტო დეტალი.

წარმომადგენელი მხარე:

3 ევროპული სასაზღვრო და სანაპირო დაცვის შესახებ რეგულაციის (ევროკავშირი) 2016/1624 ძალაში შესვლის თარიღი.

შენიშვნა: მომჩივანმა ბოლოს ხელი უნდა მოაწეროს საჩივრის ფორმას, რათა წარმოაჩინოს თავისი თანხმობა, რომ იყოს წარმოდგენილი. თუ განმცხადებელი ვერ ახერხებს საჩივრის ფორმის ხელმოწერას დასაბუთებული მიზეზების გამო (მაგ., გარდაცვლილი, დაკარგული, დაპატიმრებული, ჯანმრთელობის მიზეზები, გაუნათლებლობა და ა.შ.) ან არსებობს სხვა დამაჯერებელი მიზეზები, რის გამოც განმცხადებელი არ გასცემს წერილობით უფლებამოსილებას იყოს თქვენს მიერ წარმოდგენილი, გთხოვთ, ახსნათ მიზეზები:

2. ინფორმაცია ძირითადი უფლებების ან ძალის გამოყენების წესების სავარაუდო დარღვევ(ებ)ის შესახებ

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ძირითადი უფლებების ან ძალის გამოყენების წესების სავარაუდო დარღვევ(ებ)ის შესახებ, მათ შორის მიუთითოთ თარიღები, ადგილები, მოქმედებ(ებ)ის ან მოქმედების შეუსრულებლობის აღწერა და მონაწილე პერსონალი. გთხოვთ, ახსნათ, თუ როგორ გავლენას ახდენს ეს ქმედებები თქვენს ფუნდამენტურ უფლებებზე ან იმ პირების უფლებებზე, რომლებსაც წარმოადგენთ:

- a)** შემთხვევ(ებ)ის დაახლოებითი თარიღი და დრო:
- b)** ადგილმდებარეობა/ქვეყანა:

იმ შემთხვევაში, თუ ზუსტი ადგილმდებარეობა თქვენთვის უცნობია, გთხოვთ, მოგვაწოდოთ დეტალური აღწერა ადგილის შესახებ, სადაც მოხდა ეს შემთხვევა:

c) იმ პირ(ებ)ის დეტალური აღწერა, რომელთაც უჩივით. თქვენი ცოდნის შესაბამისად აღწერეთ, საჩივარი ეხება ქმედებებს ან მოქმედების შეუსრულებლობას რომელი მხრიდან (მონიშნეთ ყველა შესაბამისი):

- I.** პირ(ებ)ი, რომელთაც აცვიათ ფრონტექსის ლურჯი ფორმა, გამორჩეული ცისფერი ზოლით მკერდზე
- II.** პირ(ებ)ი ღია ცისფერი ფრონტექსის სამკლავურით
- III.** პირ(ებ)ი ფრონტექსის მაიდენტიფიცირებელი ბარათებით
- IV.** პირ(ებ)ი მოქმედების ადგილისათვის დამახასიათებელი ნაციონალური ფორმებით
- V.** სხვა პირები, როგორებიცაა თარჯიმანი, მძღოლი და ა.შ.

მიუთითეთ ინფორმაცია მონაწილე პირის (პირების) შესახებ (მაგალითად, სახელი, ჩაცმულობის აღწერა, სალაპარაკო ენა, გარეგნობა, რა სამუშაოს ან ფუნქციებს ასრულებდა და ა.შ.):

d) შემთხვევის დეტალური აღწერა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, თუკი ეს შესაძლებელია. თუ სავარაუდო დარღვევა კვლავ მიმდინარეობს, გთხოვთ დააზუსტოთ:

e) თუ საჩივარი ეხება სავარაუდო უფლებების დარღვევას, გთხოვთ, მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია თუ რა გავლენა იქონია თქვენზე ზემოაღნიშნულმა მოვლენამ და როგორ არღვევს იგი თქვენს ფუნდამენტურ უფლებებს (ფრონტექსის საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ სააგენტოს ვებგვერდს):

3. თქვენი საჩივრის წარდგენა სხვა ორგანოებში

შენიშვნა: თქვენ არ საჭიროებთ რაიმე სახის ეროვნული პროცედურების გავლას ფრონტექსში საჩივრის შესატანად.

1) გაქვთ თუ არა თქვენი საქმე უკვე შეტანილი რომელიმე სასამართლოში (მაგალითად, ეროვნული, ევროპული და ა.შ.)? გთხოვთ, მიუთითოთ რომელი სასამართლო, მიმდინარე სტატუსი და პროცედურის შედეგი, თუ ცნობილია:

2) გაქვთ თუ არა თქვენი საქმე უკვე შეტანილი რომელიმე სხვა დაწესებულებაში (მაგალითად, ეროვნულ ომბუდსენი, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ინსტიტუტში და ა.შ.)? გთხოვთ, მიუთითოთ რომელი დაწესებულება, მიმდინარე სტატუსი და პროცედურის შედეგი, თუ ცნობილია:

4. დამადასტურებელი საბუთების ასლები

1) გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს საჩივართან დაკავშირებული ყველა დამხმარე დოკუმენტის **ასლი**. **მაგალითად**, ეს დოკუმენტები შეიძლება იყოს:

- თქვენი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, პასპორტის ან სხვა პიროვნების მაიდენტიფიცირებელი საბუთის ასლი;
- ნებისმიერი დოკუმენტაციის, სურათების, ვიდეოების, რეპორტების, სერთიფიკატების, მოწმეს განცხადებების ან თქვენს საჩივართან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- თუ თქვენი საჩივარი წარდგენილია სხვა სასამართლოებსა ან დაწესებულებებში, საჩივრის ფორმების, საპროცესო განაცხადების და ამ პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ასლები.

2) თუ ვერ წარმოადგენთ დამხმარე საბუთებს, გთხოვთ განმარტოთ:

შენიშვნა: გთხოვთ, ნუ წარმოადგენთ საბუთების დედნებს, რადგან ისინი უკან არ დაგიბრუნდებათ

5. კონფიდენციალურობა და პირადი მონაცემები

ამ საჩივრის წარდგენით თქვენ ეთანხმებით თქვენი ძირითადი მონაცემების დამუშავებას ძირითადი უფლებების ოფიცრის (FRO) მიერ. გთხოვთ, იხილოთ დამატებითი ინფორმაცია თქვენი მონაცემების დამუშავების შესახებ კონფიდენციალურობის შემდეგ განცხადებაში.

ძირითადი უფლებების ოფიცრის (FRO) კონფიდენციალურად განიხილავს საჩივრებს. თუ თქვენი საჩივარი აღიარებული იქნა დასაშვებად, იგი გადაეგზავნება კომპეტენტურ ორგანოებს (ფრონტექსის აღმასრულებელ დირექტორსა და შესაბამისი წევრი სახელმწიფო(ებ)ის ეროვნულ ორგანოებს) და ასევე გადაეგზავნება ფუნდამენტური უფლებების შესაბამის ეროვნულ ინსტიტუტებს

გთხოვთ, დაადასტუროთ, რომ თქვენ ნამდვილად აძლევთ უფლებას FRO- ს, თქვენი მონაცემები გაუზიაროს კომპეტენტურ ორგანოებსა და ძირითადი უფლებების ინსტიტუტებს. თუ თქვენ გადაწყვეტთ არ გააზიაროთ თქვენი მონაცემები, თქვენი საჩივარი შეიძლება უარყონ ამ ორგანოებმა.

ამით მე ვეთანხმები ჩემი პირადი მონაცემების გაგზავნას ფრონტექსის აღმასრულებელი დირექტორისთვის, შესაბამისი წევრი ქვეყნების (სახელმწიფოების) კომპეტენტური ეროვნული ორგანოებისა და ფუნდამენტური უფლებების შესაბამისი ეროვნული ინსტიტუტებისთვის, მოთხოვნის შესაბამისად (გთხოვთ მონიშნოთ):

დიახ

არა

6. კომპენსაცია

თუ თქვენი საჩივარი დასაბუთებულია, თქვენი აზრით რა უნდა გააკეთოს ფრონტექსმა ან სხვა ინსტიტუტებმა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად?

7. თქვენი საჩივრის წარდგენა

თქვენ შეგიძლიათ შეიტანოთ საჩივარი და მასთან მიმხვედრი საჭირო მასალა შემდეგი გზების გამოყენებით:

- ელ.ფოსტა: complaints@frontex.europa.eu
- ფრონტექსის ვებსაიტი: www.frontex.europa.eu/complaints
- უშულოდ ფრონტექსის თანამშრომლებთან, სადაც ხდება მოქმედება.
- ფოსტა: Frontex - Fundamental Rights Officer, Complaints
Plac Europejski 6
00-844 Warsaw
Poland

ამ ელექტრონული ფორმით სარგებლობის შემთხვევაში, ქვემოთ მიუთითეთ თქვენი სრული სახელი:

თარიღი:

მომჩივანი:

თარიღი:

მხარის წარმომადგენელი:

ფრონტექსის საჩივრების მექანიზმი კონფიდენციალურობის განცხადება

1. რა პერსონალურ მონაცემებს ვაგროვებთ?

პირად მონაცემებს, რომლებსაც თქვენ საჩივრის საშუალებით გვაწვდით, მათ შორის თქვენს სახელს, საკონტაქტო ინფორმაციასა და დამხმარე დოკუმენტებს (მაგალითად, სამედიცინო ან პოლიციის დასკვნები ან ფოტოები).

2. რატომ ვაგროვებთ თქვენს მონაცემებს?

თქვენი მონაცემები დამუშავდება იმისთვის, რომ ძირითადი უფლებების ოფიცერმა (FRO) და ძირითადი უფლებების ოფისის თანამშრომლებმა, რომლებიც განიხილავენ თქვენს საჩივარს, შეძლონ საჩივრის განხილვა და დამუშავება.

3. დამუშავების იურიდიული საფუძველი

თქვენი მონაცემების დამუშავების იურიდიული საფუძველია 2019/1896 რეგულაციის (ევროკავშირი) 111-ე მუხლის მე -11 პუნქტი. ძირითადი უფლებების ოფიცერი (FRO) თქვენს მონაცემებს დაამუშავებს 2018/1725⁴ ევროკავშირის რეგულაციის მე -5 მუხლის 1 (დ) პუნქტის საფუძველზე. საჩივრის წარდგენით თქვენ ეთანხმებით თქვენი მონაცემების დამუშავებას. თქვენ ნებისმიერ დროს გაქვთ უფლება გააუქმოთ ეს თანხმობა.

4. ვინ აგროვებს თქვენს მონაცემებს?

თქვენს მონაცემებს აგროვებს ძირითადი უფლებების ოფიცერი (FRO), რომელიც აკონტროლებს მონაცემებს. ოფიცერს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ელ.ფოსტით complaints@frontex.europa.eu.

5. კიდევ ვის შეუძლია ნახოს თქვენი მონაცემები?

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ თანხმობას გასცემთ, ძირითადი უფლებების ოფიცერს (FRO) და ძირითადი უფლებების ოფისის თანამშრომლებს, რომლებიც განიხილავენ თქვენს საჩივარს, შეეძლება თქვენი მონაცემების გაგზავნა: ფრონტექსის აღმასრულებელ დირექტორთან, შესაბამის წევრი სახელმწიფო(ებ)ის კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოებთან და ფუნდამენტური უფლებების შესაბამის ეროვნულ ინსტიტუტებთან; თქვენი მონაცემების ამ მხარეებისთვის გამჟღავნება დამოკიდებული იქნება იმ პირზე, ვინც სავარაუდოდ დაარღვია თქვენი უფლებები და იმ უფლებებზე, რომლებიც სავარაუდოდ დაირღვა.

თუ თანხმობას არ მისცემთ, თქვენი მონაცემები არ გამჟღავნდება. მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ თქვენი თანხმობის გარეშე თქვენი საჩივარი შეიძლება უარყონ ამ ორგანოებმა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ იღებენ ანონიმურ საჩივრებს.

თქვენი მონაცემები არ გადაეცემა მესამე ქვეყანას ან საერთაშორისო ორგანიზაციას.

4 2018 წლის 23 ოქტომბრის რეგულაცია (ევროკავშირი) 2018/1725, ფიზიკური პირების დაცვის შესახებ, ინსტიტუტების გაერთიანების, ორგანოების, ოფისებისა და სააგენტოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით და ამ მონაცემების თავისუფალი გადაადგილების შესახებ. (ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალის კანონმდებლობა (OJ L 295, 21.11.2018, გვ. 39–98)

6. რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს მონაცემებს?

თქვენი მონაცემები ინახება სამი (3) წლის განმავლობაში. თუ თქვენი საჩივარი ასევე შეტანილი გქონდათ ეროვნულ ან საერთაშორისო სასამართლოში, თქვენი მონაცემები შეინახება ხუთი (5) წლის განმავლობაში, შესაძლო სასამართლო ჩაძიების გამო. მონაცემების შენახვის პერიოდი ითვლება საქმის დახურვის მომენტიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ მონაცემები წაიშლება.

7. რა არის თქვენი უფლებები?

თქვენ გაქვთ უფლება გქონდეთ წვდომა თქვენს მონაცემებზე და უფლება გაქვთ თხოვნით მიმართოთ ოფიცერს, შეასწოროს ან წაშალოს თქვენი მონაცემები ან შეზღუდოს მათი დამუშავება. შეგიძლიათ, შეიტანოთ საჩივარი მონაცემთა დაცვის ევროპულ ზედამხედველთან ვებ-გვერდზე: www.edps.europa.eu. რაიმე დაზუსტების საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ფრონტექსის მონაცემთა დაცვის ოფიცერს, შემდეგ მისამართზე: dataprotectionoffice@frontex.europa.eu. თქვენი მონაცემების საფუძველზე რაიმე სახის ავტომატური გადაწყვეტილების მიღება არ მოხდება.

8. თქვენს საჩივარში მოხსენიებული სხვა პირები

თუ თქვენს საჩივარში წარმოდგენილი იქნება მოწმეების, პირების, რომლებმაც სავარაუდოდ დაარღვიეს თქვენი უფლებები ან სხვა პირების მონაცემები, ძირითადი უფლებების ოფიცერი (FRO) და ძირითადი უფლებების ოფისის თანამშრომლები, რომლებიც განიხილავენ თქვენს საჩივარს, ამ მონაცემებსაც დაამუშავებენ. ამ პირებს აცნობებენ მათი მონაცემების დამუშავების შესახებ, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.